

№ 9

2 მარტი 1914 წ.

მიილება ხელის მოწერა

წლიური ფასი

3 მან.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონო

ფიური და სალიტერატურო ჟურნალი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

რედაქცია ღიაა 9—3 საათ.

წელიწადი მესამე

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი: 1. სომეხ-ქართველთა ურთიერთობა. — ს. დადიანისა. 2. სიღნაღის ბანკი. 3. უმადურობაა უვიცობა, თუ ორივე ერთად?!. — გარეშეგსი. 4. საგალობელნი. — თარგმ. სანდრო შანშიაშვილისა. 5. ჩვენი გასსაცდელი. — თ. ბ. დავითაშვილისა. 6. შეეჩენკოს ლექსებიდგან. — თარგმ. გ. ნ — ისა. 7. დადებული მგოსნის ასი წლის იუბილეი. — ახალმოსულისა. 8. ცრემლები. — თარგმ. გ. ნამორაძისა. 9. დია ბარათი ბ. X-ს

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირეულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო ჟურნალ „კლდე“-ზედ.

ფ ა ს ი:

1 წლით.	3 მან.
6 თვით	2 მან.
3 თვით	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

სომეხ-ქართველთა ურთიერთობა

(დასასრული).

ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული რა ფაქტორი ჰქმნის ეროვნებას, რომელსა აქვს უმთავრესი მნიშვნელობა. არც ენა და არც ტერიტორია თითოეულად არ ჩაითვლება უმთავრეს ფაქტორად. სარწმუნოებას ჯერ კიდევ დიდი შემაკავშირებელი ძალა მოეპოვება, მაგრამ სინამდვილეში სასწორი ხან ერთ მხარეს გადიხრება და ხან მეორეს. ებრაელი რა სჯულზედაც უნდა მონათლოთ, იგი მაინც ატარებს და ვერ წაშლის თვის დამახასიათებელს თვისებათ, რომელნიც მას საუკუნეთა განმავლობაში მემკვიდრეობით გადმოეცა; მეორე მხრით კი, ჩვენ მეზობლად მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები ამ უკანასკნელ დრომდე არც კი გრძნობდნენ თავს ქართველებად, თუმცა ენაც შერჩენიათ და ისტორიული ტერიტორიაც. ერთ ეროვნულ სხეულს ეროვნული თვითშეგნება თუ შეჰქმნის, მაგრამ ეს თვითშეგნებაც განსაზღვრულ პირობებში მუშავდება.

ყველა დასახელებულ ეროვნულ ღირებულებათაგან ჩვენთვის, ამ ჟამად, მხოლოდ ტერიტორიას აქვს უაღრესი მნიშვნელობა; სარწმუნოება ჩვენს დროში საკმაოდ ძალა დაკარგულია და ერის შემაკავშირებელ მასალად ვერ გამოდგება. ჩვენთვის განსაკუთრებით, როგორც ერთ წერილში ავღნიშნეთ, ჩვენს სარწმუნოებას ისედაც არა აქვს ეს ძალა, რადგანაც იგი ჩვენ არ გვანსხვავებს იმ ერისაგან, რომლის მხრითაც მოგველის გათქვეფა, როგორც რიცხვმრავალ ერისაგან. პირიქით, იგი ხელს უწყობს ჩვენს ასსიმილიაციას. ჩვენ არა გვაქვს ისეთი ცენტრად-მსწრაფი მიდრეკილება, რომელიც ყველა ქართველს გვიზიდავდეს ეროვნულ კერასაკენ და გვაგონებდეს სამშობლოს. კათოლიკე ეკლესია იმიტომ არის მსოფლიო ეკლესია, რომ სადაც უნდა იყოს მისი სამწყსო, იგი ყოველ მხრიდან დაინახავს პაპის ტახტს. იგი მაინც გრძნობს ერთობას, მისი თვალები მაინც რომისაკენაა მიქცეული. მექაც მორწმუნე მაჰმადიანისათვის ქვეყნიერების ყოველი კუთხიდან მოსჩანს, და სადაც უნდა იყოს მაჰმადიანი, იგი მაინც არ დაჰკარგავს თავის ეროვნულ სახეს. აგრეედვე ებრაელი, სომეხი და სხ. და სხ. ენაც ისეთი სუსტი და ფაქიზი რამ არის, რომ მისი შექმნა და შენახვა, რამოდენიმე განცალკევებულ ოჯახს და ჯგუფს არ ძალუძს, და იგი მალე გაჰქრება, თუ მის შემქმნელ ვრცელ მასის მკერდს არ ეყრდნობა და არ ახლდება. მას განუწყვეტელი ვარჯიშობა უნდა, და თუ ერი გაიფანტა ვრცელ ადგილზე, შეერია სხვა ერს, ენა ან სრულიად შეიცვლება და ან სრულიად გაქრება.

ისტორიულად განმტკიცებული ზნე-ჩვეულება ან იცვლება და ან მექანიურად და უშინაარსოდ თუ დარჩება.

ჩვენი კულტურული წარსული ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს საკმაოდ შეგნებული და ამნაირად ჩვენ არ შეგვრჩენია არც ერთი ისეთი ღირებულება, ისეთი ფაქტორი, რომელიც ქართველობას ყოველგან შეუნახავს. ჩვენი არსებობის ერთად-ერთი და უმთავრესი ბურჯი ამ ჟამად და ამ მდგომარეობაში ისევ და ისევ ჩვენი მთლიანი ტერიტორიაა. მისი შენარჩუნება, მისი მთლიანობა ჩვენს არსებობას უდრის და თუ კიდევ გვსურს არსებობა, იგი უნდა დავიცვათ. როდესაც ამ ტერიტორიას ჩვენ ვინმე გვედავება, ჩვენ არ შეგვიძლია ხელები დავიკრიბოთ და გულგრილად ვუცქიროთ. რაც შეეხება ბრძოლის იარაღს, ამის შესახებ ლაპარაკიც მეტია, რადგანაც როგორც სომხები, აგრეედვე ქართველობა საკმაოდ კულტურული ერია, რომ ყოველივე საშუალება სასურველად არ აღიაროს.

აქედან, როდესაც ს.-ფედ. სოლიდარობისადმი მოუწოდებენ სომხობას და შესაძლებლად მიაჩნიათ **ინტერესთა შეთანხმება**, ეს მხოლოდ სოციალისტური იდეალიზმით და მათი იდეალისტური ფსიხიკით თუ აიხსნება, თორემ ამ საკითხში როგორ შეიძლება მათი შეთანხმება, როდესაც ყოველი ნაბიჯი სომხის ერისა ქართულ ტერიტორიაზე ქართველთა ინტერესების გადამლახველია?! შეთანხმება აქ მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც სომხობა ხელს აიღებს ჩვენი ტერიტორიის შეძენაზე და ან თუ ქართველობა აიღებს ხელს ტერიტორიის დაცვაზე.

სანამ ჩვენი ერი განსაკდელშია, სანამ იგი მხოლოდ იგერიებს მტერს და თავის არსებობისათვის იბრძვის, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით მის რაზმში ვერიოთ; მაგრამ თუ ოდესმე დადგება ისეთი დრო, იმდენად წელში გასწორდება დღეს-დღეობით ყველასგან ჩაწიხლული ერი, რომ გამოქომაგება საჭი-

რო არ იქნება; თუ ოდესმე ჩვენი ერი თავის მხრით მიმხტომი გახდება და სხვისი ინტერესების გადალახვას მოინდომებს, აი მაშინ სხვებთან ერთად შეეძახებთ მას: კმარა მეგობარო, სამართლიანობას ნუ გადალახავ! როგორც ამას ახლა მომხტომთ ვუძახით. აი ასეთი უნდა იყოს ამ ჟამად გულის თქმა და ტაქტიკა ყველა შეგნებული პატრიოტისათვის. ასე იქცევიან განათლებულ ქვეყნების სოციალისტებიც და მათი დემოკრატია. მხოლოდ ჩვენი ს.-დემოკრატია სდგას შეურყეველ დოგმატებზე და ევროპის დემოკრატია, თვით სოციალისტებიც კი დაბლა ხრიან სოციალისტურ დროშას თავიანთი ერის საჭიროებათა წინაშე. აი მაგალითებიც იმისა, თუ დემოკრატია როგორ უერთდება ხშირად ბურჟუაზიას, როგორ **კომპრომ სამდე** მიჰყავს სოციალისტებიც არსებულს აუცილებლობას.

მოგვეზრდა კიდეც იმის მითითება, თუ რა განაცხადეს ბებელმა, ჟორესმა და სხ. ომის შესახებ. თუ ვინ ცოცხალია რომელიმე ჩვენი მეზობელი შემოესია ჩვენს სამშობლოს, მთელი ერი შეისხამს იარაღს და მტერს ერთ ნაბიჯ მიწასაც არ დაუთმობსო, — ასე რომ ამის შესახებ ბაასს არ გავაგრძელებთ. გადავხედოთ სხვა მაგალითებს.

ერთი შეხედვით, ბურჟუაზიულ წარმოებაში, მრეწველობის განვითარებაში, ბურჟუაზიის გაღონიერებაში მუშათა კლასი არ უნდა იყოს იმდენად დაინტერესებული, რომ ჩაერიოს და მისი ქვეყნის ბურჟუაზიას, მის კლასიურ მოპირდაპირეს გვერდში ამოუდგეს და მეორე ქვეყნის, მეორე ერის დემოკრატიას შეეცილოს. ბურჟუაზია საერთოდ მომხრეა ვაჭრობა-მრეწველობაში და მიწადმფლობელნი მეურნეობაში მფარველობითი სისტემისა, პროტექციონიზმისა. *) როდესაც სახელმწიფო საკუთარს წარმოებას მფარველობას უწევს, ე. ი. გატანას სხვა და სხვა პრემიებით ააღვილებს და უცხო ნაწარმოების შემოტანას მაღალი ბაჟით აძნელებს, ამისაგან მხოლოდ მომხმარებელი ზარალობს; უკანასკნელი დაინტერესებულია ადგილობრივი ნაწარმოები აქვე დარჩეს, საკუთარ ბაზარზე იაფად (ე. ი. იმ ფასად, როგორც იგი საზღვარ-გარედ იყიდება) და უცხო ნაწარმოები თავისუფლად შემოდიოდეს და თავისუფალ კონკურენციაში იყოს ადგილობრივ ნაწარმოებთან. ამიტომაც დემოკრატია ყოველთვის წინააღმდეგია მფარველობითი სისტემისა, მაგრამ ეხლა საქმეს მეორე მხრიდან შევხედოთ.

როდესაც ამა თუ იმ ერის მრეწველობა, ნაციონალური კაპიტალი, ბურჟუაზია ჯერ კიდევ სუსტია და თავისუფალ კონკურენციაში უფრო ძლიერ მეზობელთან გაიჭყლიტება, მთავრობა იძულებულია საკუთარ ნაწარმოებს მფარველობა გაუწიოს და ამ უკანასკნელ დროებში თითქმის ყველა ქვეყნის დემოკრატიაც ხარს უჭერს ამ სისტემას. შრომის მფარველი სისტემა, მაგალითად, (Рабочій протекціонизмъ) იმაში გამოიხატება, რომ აქ მუშათა კლასი მხარს უჭერს საბაჟო გადასახადს შემოტანილ უცხო საქონელზე. ეს **თავდაპირველად** სასარგებლოა ნაციონალურ მრეწველობისათვის, კაპიტალისათვის და ბურჟუაზიისათვის, მაგრამ ამავე დროს აქედან სარგებლობას მუშათა კლასიც გამოელის და ამ საკუთარ სარგებლობას მაღლა აყენებს მეორე ერის დემოკრატიის, მუშათა კლასის ინტერესებზედ. რა საოგებლობა აქვს მუშათა კლასს? ისა, რომ საკუთარი ნაწარმოები ფართო საგარეო ბაზარს პოულობს, წარმოება ფართოვდება, კაპიტალი იზრდება და მუშებიც სამუშაოს შოულობენ და დიდ ხელფასსაც ითხოვენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშათა კლასი მხარს უჭერს ჩინელ მუშებზე ბაჟის დადებას, ე. ი. ამერიკაში მათ შემოსვლას ეწინააღმდეგება. გერმანია ხომ კლასიკური მხარეა მფარველობითი სისტემისა და ს.-დემოკრატიულ სიეზდზე მაინცში სავაჭრო პოლიტიკის შესახებ მომხსენებელმა კალვერმა განაცხადა, რომ იგი არ უარჰყოფს ჩინელ მუშების ეფლებათ, მაგრამ უკანასკნელთა მეტოქეობა, მცირე ხელფასის დაკმაყოფილების სახით, თუ სახიფათო იქნება,

*) ბ. სრ. ჯა — შეიძლება გაკვირვებ ეხება თავის წერილში „ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი“ ამ საკითხს მაგრამ ჩვენის აზრით იგი სრულიად შეუწყნარებელი აზრისა ეთვალ ამ ტრებათა შესახებ. იგი ამბობს: ბურჟუაზიის **პრინციპია თავისუფალი კონკურენცია ეკონომიურ ცხოვრებაში**... ერთობ გაძორგვეულია ბოლიტიკურ ეკონომიაში „პროტექციონიზმი და თავისუფალი კონკურენცია ვისი სასარგებლოა და ვისი ბოლიტიკა, ასე რომ ასეთი გადაწყვეტილი აზრი სრულს წინააღმდეგობაშია მეცნიერებასთან. ნეტავ, ვისა გაშოგონილი უნდა იყოს მაგალ., გერმანიაში აგრარული პროტექციონიზმი? ან საფრანგეთში, ან რუსეთში ვინ ერის დაინტერესებული ამ ბოლიტიკით. რატომ გვიწყდებათ მთავრობის ბოლიტიკა შაქრისა ან ნავთის წარმოებაში და ნუ თუ ბურჟუაზია, რუსის მთავრობას ებრძვის: „ნუ ერეკი ჩემს საქმეშიო?!.

ს. ჯ.

მუშათა კლასი იძულებული იქნება იმათგან თავი დაიცვასო; (იხ. პროფ. ოზეროვის წიგნი „Основы финансовой науки“). 1898 წ. მუშათა კონგრესზე შტუტგარდტში შ-პელმა სთქვა: „მარქსი ამბობდა, პროტექციონიზმი კონსერვატიულია, თავისუფალი ვაჭრობა კი საზოგადოებრივ განვითარებას აჩქარებს და ამიტომ ჩვენ თავისუფალი ვაჭრობის მომხრენი ვართო, მაგრამ ეს მოსაზრება ორმოციან წლებში შემუშავდა; თუ კი არსებულ ურთიერთობას დავაკვირდებით (**შეერთებულ შტატებში**) თავისუფალი ვაჭრობის მომხრენი ახლა დიდი პლანტატორები, მონების პატრონნი არიან და მფარველობითი სისტემისა კი მუშა ხალხი, და ჩვენ არ შეგვიძლიან თავისუფალი ვაჭრობის პროპაგანდა გავსწიოთ. ს.-დემოკრატიულ პარტეიტაგზე შტუტგარდტში დაადგინეს, რომ გერმანული მრეწველობა **საკმაოდ მოლონიერებულია** და მას მფარველობითი სისტემა აღარ ესაჭიროებაო, ასე რომ მოღონიერებული არ ყოფილიყო, მას მფარველობას გაუწევდნენ.

ავსტრალიის ახალშენებშიაც სადაც ყველა ქვეყანაზე უფრო ძლიერია მუშათა კლასი და მთავრობაც ლიბერალური, იქაც დემოკრატია პროტექციონიზმს ებრძვის, როგორც მრეწველობაში, აგრედვე შრომისათვის

რაღად დაგვჭირდა ეს მაგალითები? იმად რომ დაგვენახა, თუ რა რთულია ცხოვრება, როგორ გადახლართულია ერთიმეორეში სხვა და სხვა ინტერესები, როგორ ხშირად ერთდება შეუერთებელი და ითიშება განუყოფელი. ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის ინტერესები ის ორი პარალელი ხაზია, რომელიც არასოდეს არ ერთდება, მაგრამ ამავე დროს ისეთი პარალელი ხაზებიც არ არსებობს, რომელიც როდისმე (въ безконечности) არ შეხვდეს ერთმანეთს, და აი ხშირად მოწინააღმდეგე კლასები ერთ და იმავ პოზიციაზე დგებიან და მეორე მხრით კიდევ სხვა და სხვა ქვეყნის ერთი და იგივე კლასი ერთი-მეორის საწინააღმდეგოდ მოქმედობს.

რა თქმა უნდა, ქართველებიც ეტრფიან იმ შორეულ იდეალებს, მათაც წარმოდგენილი აქვთ, რამდენადაც ეგ შესაძლებელია, ის სანეტარო დრო, როდესაც ყველა ერი თავისუფლად შევა იმ უნივერსალურ ოჯახში, რომელსაც კაცობრიობა ეწოდება, იმან იცის რომ კაცთა შორის **უნდა** განმტკიცდეს სიყვარული და სოლიდარობა და არა დაუნდობელი სისხლსაღვრელი ომი, მაგრამ ეს ყოველივე იდეალია, ეს არის ადამიანის „რევოლიუციონური მსურს“, მაგრამ ამავე დროს შეუძლებელია დღეს-დღეობით სრულიად თვალი მოვარიდოთ არსებულს განწყობილებას და იმ შორეულს სასურველს ეს აწმყო ვანაცვალოთ. თუ ეს „მსურს“ არ იქნება შეთანხმებული „რეალურ ძალმიძს“-თან ჩვენ იმ სასურველ მომავალს ვეღარ მოვესწრებით. მაშ, თუ ყოველივე ასეა, როგორც ზევით დავინახეთ, ნუ თუ მართლადაც სრულიად შეუძლებელია „შეთანხმება“, „მორიგება“?!

არსებობს ერთად ერთი, სრულიად მარტივი და სამართლიანი მოთხოვნა ქართველი ერისა, ტერიტორიის შესახებ, რომლის შესრულებაც საბოლოოდ გადასწყვეტს საკითხს. ჩვენ ვიცით, რომ ეს მოთხოვნა კეთილი გულით და ერთი-მეორის პატივისცემით არ დაკმაყოფილდება. ჩვენა გვწამს რომ მის განხორციელებას ძალა უნდა, თანამედროვე კულტურით განმტკიცებული, ძალა არა გულუბრყვილო რწმენაში, არამედ რეალური.

ჩვენს მწერლობაში ხშირად მავან ტერიტორიის ბედი უმრავლესობის პრინციპით სურთ გადასწყვიტონ. რომელი ეროვნებაც იქნება უმრავლესობა ტერიტორიაც იმისი უნდა იყოსო, მაგრამ პრინციპი უმრავლესობისა ერთობ ცვალებადია. დღეს შეიძლება ერთი ერი შეადგენდეს უმრავლესობას, ხვალ კიდევ სხვა. ამის მაგალითები ბლომად მოიძებნება პრუსიის პოლონეთში; პროფ. ბერნჰარდის გამოანგარიშებით, რაღაც 40 წლის განმავლობაში ებრაელები იქ 55%-დან 5%-მდე ჩამოვიდნენ და პოლონელებმა უმრავლესობა შეადგინეს. ან და კიდევ, გავიხსენოთ ირლანდიის გლეხთა ბრძოლა ინგლისელ ლენდლორდებთან. ირლანდიის თითქმის მთელი ტერიტორია უცხო ერის მემამულეებმა ძალით ჩაიგდეს ხელში, მაგრამ იქაც რამოდენიმე წლის ბრძოლის შემდეგ, თანდათან მიწა ისევ ირლანდიელ ფერმერებზე გადადის და კანონმდებლობაც ხელს უწყობს ამ პროცესს (მაგალითად, ცნობილი სამი „ფ“-რის კანონი). თუ ჩვენს ერს კიდევ შერჩენია სასიცოცხლო ძალა, იგი შეიძლებს საქართველოს ტერიტორიაზე უმრავლესობა შეადგინოს და კიდევაც თანდათან აშკარავდება ეს ტენდენცია. უმიწა-წყლო სამეგრელო და იმერეთი სხვა და სხვა კუთხისაკენ დაიძრა და როგორ იქნება ამ თავითვე ძალდატანებით მოვუსპოთ საშუალება ბუნებრივ ლტოლვილებას?!

მეორე მხრით, რეფერენდუმით ჰსურთ ამ საკითხის გადაწყვეტა. რეფერენდუმი შეიძლება სა

მართლიანი საშუალება იყოს ზოგიერთ საკითხების გადასაწყვეტად, მაგრამ **აწინდელ საქართველოს სახის გამოსარკვევად იმითი ხელმძღვანელობ ცინიზმი იქნებოდა და მეტი არაფერი: მოახდინეთ რეფერენდუმი დღეს თბილისში და ხმის დიდი უმეტესობით გამოჩნდება, რომ თბილისი სომხებისაა და არა ქართველთა დედა-ქალაქი.**

ჩვენის აზრით, არის ერთი საშუალება, რომელიც სამართლიანად გადასწყვეტს ამ საკითხს. **კავკასიაში ქართულ ტერიტორიად უნდა აღიარებულ იქმნას მხოლოდ ის ტერიტორია, რომელიც ეჭირა საქართველოს სახელმწიფოს, როდესაც იგი ამ ასი წლის წინად რუსეთის სახელმწიფოს დაუკავშარდა.** *)

კარგი, მაგრამ რა ეშველება იმ უმცირესობათ, რომელნიც ამ ქართველთა ტერიტორიაზე მოჰყვება? ერთი რომ, გარანტია მათი უზრუნველყოფისა მთელი წარსული ისტორიაა საქართველოსი, სადაც საარაკო თავისუფლება არსებობდა უცხო ელემენტთა ყოველი მხრით; ამას განცვიფრებით აღნიშნავენ ევროპიელნი მოგზაურნიც ძველ საქართველოში და ამას ვერც ის ერნი უარჰყოფენ, რომელნიც უმცირესობას შეადგენდნენ.

მეორე მხრით კიდევ, თუ საქართველო იმდენად გაღონიერდება, რომ როდისმე თითონ გადაიქცევა მჩაგვრელად, აი მაშინ გამოუჩნდება ნიადაგი სოციალისტურ იდეალებს, მაშინ გამოვლენ სოციალისტური ჯგუფები და ალაგმავენ თავგასულ ერს. მაშინ სწორედ უნდა განხორციელდეს ჩვენი სოციალისტურ პარტიათა პროგრამაში აღნიშნული გარანტიები უმცირესობის დაცვისა. სანამდის კი რომელიმე ერი დაჩაგრულია, სანამდის ყოველი მხრიდან მას გაქრობას უქადიან, მას უფლება აქვს თავი დაიცვას.

რაკი ქვეყანაზე ვინმე იშვა, იქნება იგი უბრალო მღილი თუ თვით ბუნების გვირგვინი, ადამიანი, იგი ამით იძულებულია თავი დაიცვას და რაც შეიძლება მეტი ბედნიერება მოიპოვოს; ამ გზას ვერც ერი აუხვევსო, ეგრე ამბობდა... ნოე ჟორდანია 1900 წლის „კვალში“ თავის „პატარა პასუხში დიდ საკითხზე“.

ოცდაშვიდი საუკუნის განმავლობაში ქართველი ერი უკან-უკან იხევდა და აჰა, იგი გაღვალ ხევში მოემწყვდა! კიდევ დახევა შეუძლებელია, და იგი იძულებულია ისევ გაიმეოროს მისი სასიცოცხლო ლოზუნგი: ,,ან გამარჯვება და ან სიკვდილი!''

ს. დადიანი.

*) იხ. 24 ივლისის 1783 წლის ტრაქტატი რუსეთსა და საქართველოს შორის, სადაც ეკატერინე მეორე აღუთქვამს: „содержаніе цѣлости настоящихъ владѣній царя Ираклія, предполагая распространить таковое ручательство и на такія владѣнія, кои въ теченіе времени, по обстоятелствамъ, пріобрѣтены и прочнымъ образомъ за нимъ утверждены будутъ''. арт. II.

ს. დ.

სილნაღის ბანკი

გაზეთ „ხმა კახეთისაში“ ბ-ნი ვარიანელი ეხება სილნაღის ბანკის ოპერაციებს კახეთში და შემდეგს სურათს გვიხატავს:

პირველად, როდესაც ბანკმა მოქმედება დაიწყო მას ჰქონდა მარტო 6610 მ. სამუშაო თანხა. ამ პატარა თანხით, დაწყებული საქმე უკვე საკმარისად გაიზარდა. 1913 წ. 1 იანვარს უკვე 365 წევრი იყო 23, 830 მ. ძირითადი თანხით. ამ წლის განმავლობაში 277 წევრი მოემატა და 1 იანვ. 1914 წ. უკვე 642 წევრი გახდა 40.290 მ. ძირითადი თანხით. აღსანიშნავია ის კარგი მხარე, რომ წევრთა შორის მომეტებული ნაწილი სოფლის მეურნეები და ვაჭრები არიან.

მარტო ძირითადი თანხის ზრდა საკმარისი არ არის. ეს ფული რასაკვირველია ვერ დააკმაყოფილებდა ყველა წევრს, ამიტომ ბანკი სცდილობდა მიეზიდნა სხვა თანხებიც. ესეც ბანკმა პირნათლად შეასრულა. 1 იანვ. 1913 წ. ბანკში შეტანილი თანხები იყო სულ 28968 მ. 36 კ. წლის განმავლობაში კი ეს თანხა თითქმის ერთი სამად გაიზარდა და 1 იანვ. 1914 წ. ასეთი თანხები უკვე 73.413 მ. 74 კ. უდრიდა. ეს ციფრები ჩვენ ნათლად გვიმტკიცებენ, რომ ბანკის ნდობა დღითი დღე იზრდება საზოგადოებაში და უკვე მომეტებულ ნაწილს ადგილობრივ მცხოვრებთა, ვისაც კი თავისუფალი თანხები მოეპოვება, ბანკში შემოაქვს შესანახად. გარდა ამისა, მომავალში სრული იმედი შეგვიძლიან ვიქონიოთ, რომ ეს ბანკი ჩვენ მაზრაში ყველა გაფანტულ თავისუფალ თანხებს

მოუყრის თავს და ჩვენი წარმოების ასაყვავებლად დაატრიალებს. ჯერ კიდევ ბევრს ჩვენგანს ვერ შეუგნია ბანკის მნიშვნელობა და ვერ აღჭურვილა მისდამი ნდობით, რის გამო თავისუფალი თანხა, ან თვისი შენახულება მიაქვს სხვა კასებში შესანახად, სადაც სულ მცირედ სარგებელს იღებს (ᲐᲮ 3 კაპ.) და საიდანაც ეს თანხა შეიძლება სულ სხვის წარმოებას მოხმარდეს. აქამდინ, არა გვქონდა ქიზიყ-კახეთში საკუთარი ბანკი, თავისუფალ თანხის პატრონს სხვა გზა არა ჰქონდა, ეხლა კი ყველას შეუძლიან თავისი ფული შეინახოს ჩვენს საკუთარ ბანკში, სადაც ორჯერ და სამჯერ მეტს სარგებელსაც მიიღებს, და გარდა ამისა ეს ფული ჩვენივე ხალხის საქმეში და მის სასარგებლოდ დატრიალდება. ფულის დაკარგვის შიში კი არა დროს არ შეიძლება, რადგანაც აქ ერთი და ორი არ არის პასუხის მგებელი, არამედ 642 წევრი (ეს რიცხვი სულ მუდამ იზრდება) რომელნიც 20 ,450 მ. აგებენ პასუხს (პასუხის მგებლობაც თანდათან იზრდება).

ძირიადი თანხის და შესანახად შეტანილ ფულის გარდა სიდ. საერთო-ერთო ნდობის ბანკს ჰქონდა გახსნილი 10,000 მ. ნდობა სახელმწიფო ბანკში, და 20000 მ. სხვა ბანკებში. აი ეს თანხები, რომელნიც სულ შეადგენენ 143.703 მ., ბანკმა დაატრიალა ჩვენი ხალხის მეურნეობაში. იანვ. 1-ს 1914 წ. სულ გაცემულია ვექსილებით და დაგირავებულ ფასიან ქაღალდებში 122,697 მ. ამ გვარი მოქმედებით ბანკმა მრავალ ჩვენს სოფლის მეურნეს და ვაჭარს ხელი შეუწყო თავის წარმოების გაუმჯობესობაში, მრავალი დაიხსნა ჩარჩ-მოვახშეების შეუბრალებელ კლანჭებისაგან. ჩარჩ-მოვახშეებს უკვე აღარავინ აძლევს ძველებურად უსაზღვრო სარგებელს და იძულებულნი არიან ან ბანკში შეინახონ ფული, ან ნაკლებ სარგებელს დასთანახმდნენ. იმათ კი, ვისაც შესანახად ჰქონდათ ბანკში ფული, საკმარისი სარგებელი მიიღეს. 1913 წლის განმავლობაში 3.097 მ. 62 კ. სარგებელი ფულის შემნახველებმა. გარდა ამისა ბანკმა დაჰფარა ყველა თვისი ხარჯი (4.910 მ. 93 კ) და წმინდა მოგება დარჩა 2,503 მ. 52 კ. წესდების ძალით ეს მოგება შეიძლება განაწილდეს წევრთა შორის და შეიძლება წევრებმა მოახმარონ ეს თანხა რაიმე სასარგებლო საქმეს. თვითეულს წევრს იმდენი საგრძნობელი თანხა არა შეხვდებარა; ეს ერთიანი თანხა კი შეიძლება ისევ საზოგადოების სასარგებლოდ ბანკსავე მოახმარონ. ბანკი დღითი დღე ვითარდება და მოკლე ხანში აუცილებლივ დასჭირდება მას საკუთარი შენობა, რომელიც შეიძლება ისე მოეწყოს, როგორსაც საქმის გარემოება მოითხოვს. ამიტომ წევრები უფრო კარგს იზამენ, თუ წმინდა მოგებას გადასდებენ ბანკისთვის საკუთარ შენობის ასაგებად. ამით ბანკი კიდევ ერთ საუკეთესო ნაბიჯს გადასდგავს და უფრო მეტს ნდობას დაიმსახურებს ხალხშიაც და სხვა დიდ ბანკებშიაც, რადგანაც ხშირად ბევრისთვის საქმის გარეგნული ვითარება უფრო დიდ მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება ბანკის მომავალს, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი საქმეები უფრო და უფრო გაფართოვდებიან. თუ ამ პატარა ხნის განმავლობაში პირდაპირ მოლოდინს გადააჭარბა, შემდეგში ეს ბანკი გახდება ერთად ერთ დაწესებულებად ქიზიყ-კახეთში სადაც შეიროვდება ჩვენი ხალხის შენახულობა და საიდგანაც შეუწყვიტელ წყაროსავით დაიწყებს დენას საწარმოვო თანხა, ჩვენი ტურფა ქვეყნის ასაყვავებლად. ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს ჩვენ ბანკს გასაკეთებელი. ყველაზე უსაჭიროესი მათ შორის ჩვენი მევენახეობის, წვრილ ვაჭრების, მეთამბაქოე, მეცხვარეების და სხვა მწარმოებელის წვრილ შუამავალ აგენტებისაგან დახსნა და მათი წარმოების გაუმჯობესობაა. ამას კი მხოლოდ მაშინ შესძლებს ჩვენი ბანკი, როდესაც საკმარისი თანხა მოგროვდება და, როდესაც ჩვენი ყოველგვარი მწარმოებლები მჭიდროდ შეკავშირდებიან და ყოველივე დამოკიდებულობას ჩვენს ბანკთან იქონიებენ და სხვა კერძო შუამავლებს ჩამოჰშორდებიან.

კიდევ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ხალხი შეიგნებს ბანკის ფრიად სასარგებლო მოქმედებას და თავის შენახულობას კერძო პირებს და კასებს კი არ ჩაუგდებს ხელში, არამედ შეინახავს თავისივე საკუთარ ბანკში, საიდანაც მომეტებულ სარგებელსაც მიიღებს და სამშობლო მხარის წარმოებასაც წინ წასწევს.

უმადურობაა, უვიცობა, თუ ორივე ერთად?!

(წერილი ფოთიდან)

„ქაჩალო, ვინ გძულს?—თავის დამბანელიო.
ობოლო, ვის მოჰკლავ?—ვინც გამომზარდაო.“

ამ ბოლო დროს ფოთელმა კორესპოდენტებმა და იმათმა ამაყად დამყოლმა პრესამ ბ-ნის ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობა, როგორც ქალაქის თავისა, მათის ჭკუით, ძნად გაშალეს, გალეწეს და კიდევაც ანიავებენ... ანიავებენ და ამ მოღვაწეობის ყოველსავე სხვილსა და წვლილს ალმა ქარს აძლევენ და დალმა წყალს; თითქო ბ-ნის ნიკოლაძის საქმიანობაში აღარა იყოს რა ნაყოფიერი, სასარგებლო და თვალსაჩინო; თითქო ნიკოლაძის დამსახურება ფოთის წინაშე ისე ფუქსავატი და უმნიშვნელო იყოს, რომ ერთი სულის შებერვით შეიძლებოდეს იმისი გაქრობა და გაცამტვერება. აღმაშფოთებელია ასეთი უმადურობა, თუ ის განგებ და შეგნებულად ხდება, დამაღონებელი და სამწუხაროა, თუ ის უვიცობითა და წინდაუხედობით არის გამოწვეული. ხოლო ორივე შემთხვევაში სრულიად შეუწყნარებელი და დაუმსახურებულია.

ბ-ნ ნიკოლაძეს წელს ესრულდება ოცი წელიწადი, რაც ის ფოთის მოურაობას ეწევა და, იმის მაგივრად, რომ ეს ხანგრძლივი და ბარაქიანი სამსახური ღირსეულად დაუმადლონ და დაუფასონ, მისდგომიან და ათრევენ. მერე რა საბუთითაო? იკითხავთ თქვენ. იმ საბუთით რასაც მტყუანის ავლა-დიდება შეადგენს. საბუთი მტყუანისა კი, ჟანჟაკ რუსოს თქმით,—ლანძღვა გინებაა. დიახ, იგინებიან, ილანძღებიან და, ასე გასინჯეთ იმუქრებიან კიდეც და ჰგონიათ,რომ კრიტიკას სწერენ და საქმეს აკეთებენ. დავიწყებიათ რომ ასეთმა უტიფარმა კრიტიკამ და გველურმა სისინმა, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, წიწაურის ტრაგედიამდე მიგვიყვანა... მადა განდიდებისა, თუ სიბრმავე პირადი ანგარიშებისა ისე გასჯდომიათ ძვალსა და რბილში, ისე დამთვრალან ამ საბედისწერო სენით, რომ სწორედ იმ საარაკო გმირებს მოგვაგონებთ, რომლებზედაც დიდებულმა ფადე-შაჰმა ვეზირის რჩევით ღვინის სასწაულთ-მოქმედი გავლენა სცადა. ბრმებს თვალები აღახედია, საპყრები ფალავნებად გამოდიან და ღატაკნი სისხლის ფასს იძლევიან; მადლობა ღმერთს, შედარებით დაწყნარებული დროა, თორემ ამ განდიდიდების სენითა და პირადი ანგარიშებით დამთვრალთა ღალადით რომ იზომ-იწონებოდეს ბ. ნიკოლაძის მოღვაწეობა, იმის მტერი და ავი, ახლა ცოცხალიც აღარ იქნებოდა.

ნიკოლაძე გამოჰყავთ მოღალატედ ქალაქისა და მოქალაქეთა წინაშე, გამოჰყავთ მოღალატედ მუშების და იმათი ინტერესების წინაშე. ამასთანავე ტეხნიკის თანახმად მოწყობილ-მოგვარებულ ნავთსადგური ღალატი ყოფილა თურმე ქალაქისა და მოქალაქეთათვის. აღებ-მიცემობის გაძლიერება და მსხვილი კაპიტალის დატრიალება ჩვენში ყელის გამოჭრაა თურმე მუშათა ინტერესებისათვის.

ყველა ეს უსიამოვნება, ყველა ეს აურ-ზაური და ორონ-ტრიალი, რაც ნიკოლაძის გარშემო არის ატეხილი, ელევატორიდგან მომდინარეობს. გამიგონია და როგორც წამიკითხავს, ევროპისა და ამერიკის სანავთსადგურო ქალაქებში ერთი და ორი კი არა, რამდენიმე ელევატორი მუშაობს თურმე, მაგრამ არ გამიგონია და არც წამიკითხავს, რომ ელევატორების აღშენების მეთაურნი სადმე და ოდესმე ან მოქალაქეებს, ან მუშებს მოღალატებად გამოეცხადებიოთ და ჯვარზე გაეკრათ.

ბ-ნ ნიკოლაძეს ჩემი გამოსარჩლება არ ესაჭიროება. ნიკოლაძის პიროვნება, იმისი პირადი წყენა თუ სიამოვნება კი არ არის ამ შემთხვევაში საინტერესო, არამედ ის საკითხი, თუ რამდენად და რანაირად ფასდება ჩვენში საზოგადო მოღვაწეობა. „უკეთუ ნედლსა ხესა ეგრე უყვეს, ხმელსა რამე ეყოს?“ თუ ნიკოლაძის ნაყოფიერი მოღვაწეობა, როგორც ფოთის ქალაქის თავისა, აგრე წყალ-წაღებულად და ყბად ასაღებად შესაძლოა გაჰხადონ,წვრილ ფეხა გამრჯელთა შრომას ხომ არავითარი ფასი და მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს!

კეთილ-სინდისიერი და პირუთვნელი კრიტიკა ყოველ საქმეში სასარგებლოა, საზოგადო სიკეთით გამსჭვალული ოპოზიცია ყოველ დაწესებულებაში სასურველია, მაგრამ როცა კრიტიკა კეთილ სინდისიერობას გაურბის, როცა ოპოზიციას პირადი ანგარიშები და საკუთარი მუცლის ტკივილი ასულ-

დგმულებს, მაშინ ამისთანა კრიტიკასაც და ოპოზიციასაც წინ წყალი უკან მეწყერი, რომ ვუსურვოთ დანაშაულად არ უნდა ჩაგვეთვალოს.

ხოლო ნიკოლაძის წინააღმდეგ ამ ჟამად გაჩაღებული ეგრედ წოდებული კრიტიკაცა და ოპოზიციაც რომ სწორედ ესეთია, ამას შემდეგ წერილში დავასაბუთებთ, თუ, რა თქმა უნდა, მეც ქვეყნის მოღალატედ არ გამომაცხადეს და ანდერძი არ ამიგეს.

გარეშე.

საგალობელნი

რაბინდრანათ ტაგორისა

თარგმანი გერმანულიდან

ერთ დღეს მოვიდნენ ჩემს ბინაზე და იძახოდნენ:
„ჩვენ მხოლოდ მტირე, სულ ბაწაწა ადგილი გვსურსო.
ჩვენ შეგეწევით შენს დმერთს ბატივს ადრ სცემდეო“.
შემდეგ მიიდეს მათ ადგილი ერთ-ერთ კუთხეში
და დასხდნენ მეუდრეოდ, მოკრძალებით და დარსეულად.
მაგრამ იმ დამის სიბნელეში ვეროვე, თუ როგორ
გამაწუეტინეს ეგირილითა წმინდა დადი
და უწმინდურის სიხარბითა ღვთის სამსხვერპლოდან
მსხვერპლი გაგლიჯეს.

———

სადაც უშიშრად არის სული, თავს მაღლა სწევენ,
სადაც შეგნება და ცოდნაა თავისუფალი,
სადაც სოფელი სახლის მადად ზღუდეებისგან
არ დამსხვრეულა ნამცეცებად,
სად სიტყვა მარად სიმართლიდან მომდინარეობს,
სად აზრის წყარო ჩვეულების მშრალსა, მწირ მტკვერში
თვის გზას არ ჭკარგავს,
სად სული შენგან იმალება რათა ადიძრას
შემდეგ ფიქრთათვის, მოძრაობისთვის—
ამ თავისუფალ ცასთან მომეც ნება, მამაო,
ჩემი ქვეყანა გამოვაფხიზლო!

ჩემი ღადადი, მეუფეო ეს არის შენდა:
ჩასწვდი წეურვილსა გოლიასსა თვით საფუძვლამდე.

მომეც მე ძალი, რათა ზრუნვა და სიხარული
ვზიდო მსუბუქად.

მომეც მე ძალი, რათა ყამსა სამსახურისას
ვეო ჩემი გულის სიყვარული ნაოფიერი.

მომეც მე ძალი, რათა მკლავნი ძირს არ დაუშვა
და მუხლი ჩემი უხეშ ძალას არ მოგუეარო.

მომეც მე ძალი ჩემის სულის ადსამადლებლად
აწ არსებულის ეოველდღიურ წვრილმანობაზე.

და მომეც ძალი, რომ შენს ნებას თვით შენი ძალი
შენ ერთს მოგაგო სიყვარულით.

———

ვფიქრობდი, ჭეშვა დასასრული ჩემმა მგზავრობამ
ჩემის შეძლების უკანასკნელს ფარგალ სახლვარამდე—
ვითომც ბილიკი ჩემს წინაშე დახშული იყო
და საზრდო ჩემი მომავლისთვის გამოლეული.
ვითომც დრო ჩემი დამდგარიეო, რათა მეჭოვნა
იდუმალების კალთის ქვეშე მე საფარველი,
მაგრამ რას ვხედავ: შენმა ნებამ, შენმა სურვილმა
არ უწყის ჩემდა არც საზღვარი, არც დასასრული,
უკეთუ ძველი სიტყვა ამ ჩემს ბაგეზე კვდება,
უმალ ადმოჭხეთქს ამ გულიდან ახალი ჭანგი
და სადაც ჩემი ძველი კვალი დაკარგულია,
იქ უკვე ჩნდება სულ ახალი ქვეყანა თავისის
საკვირველობით და მშეენიერის მომხიბლველობით.

———

რომ გოლი დაშრეს, გრძნობა მასში ამოიფიტოს,
მაშინ წეალობის წვიმაცვრებით გარდმომეგლინე.

რომ მოკრძალება წარიხოტოს ჩემის ცხოვრებით,
მაშინ გალობის ქარიშხალით გარდმომეგლინე.

რომ შრომა ჩემ წინ ადიმართოს აურზაურით
და მან მომწეიტოს შეხა იალუმალს, გალალმა მხარეს,
გარდმომეგლინე მეუდრეობის უფალო ჩემო,
შენის სიმშვიდით ჩემის გულის განსასვენებლად.

რომ მწირი გოლი დამიმალბლდეს, ბნელს მოემწყვდიჩემო მეფეო, ზღუდე ჩემი შემოამტვრიე [ოს,
და მომეგლინე კვალვ მეფურის ბრწყინვალებითა.

რომ ჩემი სული დაბრმავოს ვნებითმა ლტოლვამ,
გარემოიცვას მტლეურობით, მტვრითა და ჭუჭეით,
ჭეი წმინდაო და ფხიზელო ჩემო დარაჯო,
გარდმომეგლინე ელვითა და ჭექა-ქუხილით!

———

სად იმეოფები, სიყვარულო, ეოვლის კალალმა?
ჩრდილში იმალავ შენს არსებას და ადარ ჩნდები?
შენ ხელსა გკრავენ, გიშორებენ და გვერდს გიხვევენ

და განაგრძობენ სიარულსა გზითა მტვრიანით,
თითქოს შენ მათთვის, საყვარელო, არარა იყო!

ჟამსა ძძიმესა მე აქ გიცდი და მოწყალებას
შენის გოლისთვის გამეგულთ შორის მიმოფარიგებ.
იდებენ ერთი ერთმანეოზე სურნელ ევანგელებს
ჩემი კალთა ერთიანად დატარიელდა.

წარიღტვო ღილა და წარიღტვო უკვე შუადღეც.
სადამოს ბინდზე დამიმძიმდა თვალნი თვლემისგან.
ადამიანნი მიმოდიან და დამცქერიან,
იდიმებიან და სირცხვილით მივსებენ გოლსა.
ვზივარ ვით ქალი მათხოვარი, სახეს ვიფარავ
და როს მკითხავენ „რა მაკლია“, დაბლა მხრი თვალებს.
შასუხს არ ვაძლევ.

ო, როგორ ძალმიძს კავეშეფლავნო, რომ შენ ერთს გიც-
რომ შენ აღმითქვი მოვლინება და ჩემთან მოსვლა? [დი,
ან ვით შევძლებდი სირცხვილის წინ მე განმემარტნა
თუ ვით ვატარებ სქორწინოდ ამ სიდარიბეს.
ამ სიამაყეს ვფარავ გოლის სიდუმლოში.

ვზივარ ბალახში და ვოცნებობ შენის მოვლენის
ანაზღეულად გაბრწყინვალებულ ელვისგან ცაზე
ირგვლივ ნათდება. ოქროს ფრთანი შენს ეტლს ამკობენ
ოდეს გხედავენ გამოშტარსა შენის საჯდომით.
უბა დადებულნი განცვიფრებით იმზირებიან,
რომ მე ნაგვიდან და მტვრისგან ასე მამაღლებ
და ბინას მაძლევ მე შენს გვნრდით დასამკვიდრებლად.
დატაკი ქალი მათხოვარი ვფრთი სიამაყით
და მოკრძალებით, ვით გაზაფხულის ქარიშხალისგან
ფრთის და ცახცახებს ზაზი და ნორჩი არსება.

მაგრამ დრო მიჭქრის. ხმაურობა არ ისმის კიდევ
ეტლის თვლებისა. ხალხის კროვა ჩემს წინ განგაშებს.
ნუ თუ ეს შენ ხარ ჩრდილ ქვეშე რომ სდგეხარ მდუმარე
უველა მათ უკან, უველა არსთა გადადმა მხარეს?
მხოლოდ მე მარტო კეფოდები და მწარედ მოვსთქვამ
და ამ ჩემს გოლსა მეოფ უდონოდ ამაო ლტოლვით.

— —

დიდით ჩურჩული გავიგონე ნელტალდებისა.
მხოლოდ მე და შენ ნავით უნდა ტერვა დაგვეწეო
და არც ერთ ქვეყნის სულს არ უნდა სტოდნოდა ჩვენი
მოგზაურობის არც მიზანი და არცა გეზი,
თუ სად მივტურავთ, რომელ მხარეს, რომელ ლტოლვისკენ.

უსაზღვრო ზღვაში შენს მდუმარე და მოშრიალე
დიმილთან ერთად ხმა მწეობრობად გარდმოიფრქვევა
ჩემი გალობა, როგორც ლელვა თავისუფალი,
თავისუფალი ეოველ სიტეეის ბორკილისაგან.
განა ჯერ ჟამი არ დამდგარა? განა ჯერ კიდევ
რამ საშეშოო გამომიჩნდა შესასრულებლად?
ჭსედავ, ბინდ-ბუნდი ეფინება ირგვლივ ნაბერებს,
მომაკვდავ სხივში დაფრინავენ ზღვის ფერფლტები,
თავის ბუდისკენ ფრთათა რხევით ეშურებიან.

ვინ იცის, როდის იხსნას თავი ბორკილებიდან
და იგი ნავი, ვით ტიმტიმი უკანასკნელი,
ვით მოხარნარე, ნაზი სხივი ჩამავალ მზისა,
შეტურდეს ზღვაში, ჩაიმალოს ღამის წყვდიადში.

— —

ეს არის ჩემი სიხარული და ალტაცება,
რომ ვიდგე გზაზე, ვიდარაჯო, შენ მოგელოდე
იმ ადგილს, სადაც ბნელ აჩრდილსა ჭეანტავს სინათლე
და წვიმა მოდის გაზაფხულის გაღვიძებისგან.

ვზივარ ჭიშრის წინ თვით დიდიდან შებინდებამდე
და ვიცი, უცბად სანეტარო წუთი დადგება,
ოდეს ვიქმნები ტკბილ-მტანჯველი ღელვით ადგსილი.

— —

არ ვიცი, მარად თანდათან რომ მიახლოვდები,
რომელ შორეულ დროჟამიდან მოსდიხარ ჩემკენ
ჩემს შესახვედრად.
არც მზეს, არც ვარსკვლავს არც ხმელეთს არ შეუძლიან
სამარადისოდ გულს უნინარად, ო, საყვარელო!

სანდრო შანშიაშვილი.

ჩვენი განსაცდელი დღეს არის!

ბევრნი ვერც კი ვხედავთ, რა უბედურს მდგომარეობაში ვართ დღეს ქართველობა. თითქმის ნახევარი საქართველო უცხო ტომებმა აავსეს და ჩვენი კვალი ამოავდეს: სად არის დღეს ქართველი ტაშირს, აბოცს, ყაიყულში, ან თუნდ თრიალეთ-ახალქალაქის მხარეს: ეს მხარე ნელ-ნელა დაიკავეს ოსმალეთიდან გადმოსულ გადმობარულმა უცხო ერებმა და უმწეოდ დარჩენილი ადგილობრივი ქართველობა ან გადაგვარდა ან გადასახლდა—გადიკარგა. სულ რამდენ-მე ათი წელიწადია, რაც ყა-

ზახის და ბორჩალოს მაზრები და მანგლისის მხარე სავსე იყო ქართველობით და აქ მძლავრად სცემდა ქართული ეროვნული მაჯა, სდუღდა და გადმოდუღდა ქართული კულტურა—დღეს ეს დიდი და მდიდარი ქვეყანა უკვე სხვის ხელშია,—უცხო მოდგმის, უცხო სარწმუნოების ხალხმა დაიჭირა—ზოგი თვალთმაქცობით, ზოგიც ფულით და ძალმომრეობით; ქართველობა ამ მხარეში ძ..ივს ბჟუტავს აქაიქ, უმეტესობა გასომხდა (რადგან ქართველ მღვდლებს არ უგზავნიდა სას. მთავრობა და ამის გამო სომხის ტერტერები ნათლავდნენ და ასომხებდნენ), ზოგიც გამაჰმადიანდა და სადაც ამას წინ ქართული ქადაგება ჰქუხდა საეპისკოპოსო საწინამძღვრო კათედრებიდან (ბოლნელი, ახტალელი, დმანელი, წალკელი, ანელი, კარელი, ფატარელი) დღეს თითქმის არ ისმის ქართული წირვა-ლოცვა. საქართველოდან მოგლეჯილი და ძალად გაოსმალებული მესხეთი, ტაოკლარჯ-ჭან-აჭარ..ები თანდათან ივსება ჩვენს ეროვნების მტრებით და ამათ თვალთმაქცურ მახეებში ჩავარდნილნი, ივიწყებენ თავის ეროვნებას, ქართულ ენას, სტოვებენ ქართულ ზნე-ჩვეულებას, ძველ რაინდობას, გაიძულებენ, გვშორდებიან, გადაგვავლენ გზაზე დამდგარან.

როდესაც, 1878 წელს, რუსეთის ძლიერებამ ეს საქართველოს მარჯვენა შემოგვიერთა, ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, გული აოსანაირ იმედებით აგვევსო.. ნამდვილად კი რა მოხდა?—ის მოხდა, რომ სანამ ჩვენ თვალს გავახელდით, ეს ქვეყანა კიდეც გაავსეს მეჯღანუაშვილებმა და თავისი ქსელები გაბეს. დაჰყარეს ხმა, რომ ვინც ოსმალეთში გადასვლას ვერ მოასწრებს მთავრობა ყველას გაარუსებსო, ძალად გაქრისტიანებენო, ამოსწყვეტენ ან გაიღარიბებენო. რამდენიმედ გამართლდა მეჯღანუაშვილების წინასწარმეტყველება: ქართველ ოსმალოებმა მართლა საკუთარის თვალით დაინახეს, რომ ახალ ქვეყანაში ახალ შესული ჩინოვნიკები, მეჯღანუაშვილის ნათესავები ან მათივე თანამოაზრენი, მეტისმეტ სიმკაცრეს იჩენენ. დაჯრთხა ოსმალო—ქართველი, ჩალის ფასად ჰყიდდნენ თვით მეჯღანუაშვილებზე მამულ-დედულებს და წყევლა-კრულვით გარბოდნენ ოსმალეთში მაჰაჯირად. განახევრდა ოსმალოს ქართველობა, გალატაკდნენ ისინიც ვინც დარჩა; მეჯღანუაშვილებს დარჩათ რაც შეუგნებელ ოსმალ-ქართველს ხელიდან გაუვარდათ, ფესვი გაიდგა ამ ახალ თესლმა და გამრავლდა; ამათვე ბევრგან დაიჭირეს ქართველ კულტურის დიადი ნაშთები, ქართულ წარწერებს შლიდნენ დიდებულ ტაძრების კედლებიდან...

ყველამ ვიცით, თუ რა ღვაწლი მიუძღვის ქართველ კათოლიკებს ჩვენი სამშობლოს წინ, მაგრამ სად არიან დღეს ქართველი კათოლიკები? სად გაჰქრნენ ეს ჩვენი ნასწავლი და კულტურული ძმები? დღეს სულ რამდენიმე გმირი მოსტირის იმას, რომ სომხებმა ათასნაირ ხერხებით თვით ბიუროკრატია დაიყოლიეს, ეს ჩვენი სახელოვანი ძმები მოგვწყვიტეს და „სომხის კათოლიკეებში“ ჩაარიცხვინეს, ქართული ტიბიკონი გააუქმეს და სომხური წიგნები ძალად ჩააჩეჩეს იმ ქართველებს, რომელთაც სომხურის „ინჩიც“ არ გაეგებათ, ადამიანური უფლება წაგვართვეს და სომხის ტერტერებს დაგვიმოწავეს იმისთანა თავდადებული ქართველ-კათოლიკენი, რომელთაც წარმოგვიშვეს სახელოვანი გმირები: ზუბალაშვილები, თამარაშვილები და სხ. ერთი მუჭა ქართველ-კათოლიკობა ღა („ძმობა“) სასიკვდილოდ იბრძვის, რომ ქართველობას კვლავ მოუპოვოს დაკარგული ქართული ტიბიკონი, მაგრამ სომხობამ რა დაინახა, ქართველობა იღვიძებსო, გააორკეცა მეჯღანუაშვილური ხერხები და, როგორც „სახალხო გაზეთის“ წერილი (№ 1123) გვაცნობებს, თვით რომის პაპი შეუშინებიათ ასეთის მუქარით: „თუ ქართული ტიბიკონი შეგიწყნარებია, **სისხლი დაიღვრებაო**“. გასჭრა მუქარამ ქართულ ტიბიკონის შეკოლების დასაკანონებლად აღებული კალამი რომის პაპმა ისევ ძირს დადო... ამნაირად ჩვენის მოძმეების ძალად გასომხება ძალაშივე რჩება; როდემდის? ეს რომ სომხებისთვის გვექმნა, ქვეყანას ააყვირებდნენ, რას არ ჩაიდენდნენ!? ჩვენ კი—სულ ძილი, ძილი, როდის გვეღირსოს გამოღვიძება“... ნუ თუ ძილშივე გამოგვაცლიან მეჯღანუაშვილები ქართველობას, როგორც შეუნიშნავად გამოგვაცალეს მესხეთ-ტაო-კლარჯეთ-ბორჩალოს მხარე და იქაური ისტორიული ნაშთები?

დღეს ხომ საქმე იქამდინაც მისულა. რომ მთელს ან უმეტესს მის ნაწილს სომხის გუბერნიას უერთებენ და ამის შემდეგ ხომ უფრო ადვილად გადააგვარებენ იმ ნატამალსაც ქართველობისას, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია ჩვენი ენა, გაასომხებენ ან გაამეჯღანუაშვილებენ... ამის შემდეგ ხომ ახალ ტალღასაც უნდა ველოდეთ ოსმალეთიდან სომხობისას (გაავტონომებულებისას), რომელიც საბოლოოდ მოსპობს ქართველთ ნაშთს ამ ქვეყნებში.

ჩვენ ხომ ყველამ ვნახეთ, როგორ ამოაგდო სოლოლაკელთ კამპანიამ ჩვენს დედა-ქალაქში ქართველი კინტო, ეს ოავისებური რაინდი ხალხი და მის მაგიერ დაასახლა მეჯღანუაშვილები... ამასაც ხომ ყველანი ვხედავთ, რომ მთელი მართვა-გამგეობა თბილისისა სოლოლაკელ კამპანიამ ხელში ჩაიგდო და ქართველობა განსდევნა. ეს პოლიტიკა ხომ სამაზრო ქალაქებში იმარჯვებს ჩვენ თვალწინ. ,,ტუტუც ვრაცებს'' ასე გვებოდიშებიან: ,,ეკაცრავად, ბნიაზჯან, ,,ამიბკაში მოვედით'', შემდეგს არჩევანში სულ თქვენიანებს ავირჩევთო... ჩვენც ხომ მეტი არ გვინდა!..

რა ხერხებით მეჯღანუაშვილები ხელიდან გვაცლიან მამულ-დედულებს, ან ნაჭირნახულევ პურღვინოს, ამაზე იმდენი დაიწერა, რომ მოგწყინდებათ კიდევ ამაზე ლაპარაკი. რა სისწრაფით იზრდება ტერტერების წყალობით და მათის ქადაგებით (იხ. შარშანწინდელი ,,ქართლი'') მეჯღანუაშვილების ბანაკები შიგ ქართლ-კახეთის სოფლებში, ამას ისიც საკმაოდ ახასიათებს, რომ მათმა მეცნიერებმა კიდეც გამოაცხადეს, რომ საქართველოს ან ივერიის ძველი საზღვრები მარტო ,,იმერეთიაო'': იმერეთი ფილოლოგიურ მეცნიერებით მთელი ივერია არისო, ესე იგი ქართლ-კახ-მესხ-ჭანეთი ბორჩალიანად ჩვენი გახლავთ, თქვენ იქ წელი არ გიდევთო. იმავე მიზნით სომხის იდეოლოგ-მეცნიერნი ქართლ-კახეთის გაქრისტიანებასაც და მთელის კავკასიისაც გრიგოლ პართელს მიაწერენ, ვითომ (ამას უნდა გვაგულისხმებინებდეს) ქართლ-კახეთის გაკულტურება ჩვენის ხელით მოხდაო ღა ანბანიც ჩვენმა მესროპმა შეგიდგინათო, სამღვთო წიგნებიც ჩვენგან ნასესხები გაქვთო და ხუროთმოძღვრებაო. ერთის სიტყვით, დღეს სომხის ნასწავლი ხალხი იმდენად გათამამებულნი არიან, რომ ჩვენს **ისტორიულ უფლებასაც გვეცილებიან** და ჩვენი სახელოვანი კულტურაც უნდათ თვალთმაქცურად ბუნყინრად გამოგვაცალონ. იმედიცა აქვთ, რომ სომხეთის საზღვარი ძალიან მალე გახდება ლიხის მთა ხოლო ლიხს აქეთი ჩვენი ქვეყნები ერევნის სასომხეთო იქნება. მათმა მეცნიერებმა ხომ კიდეც გამოაცხადეს, რომ საქართველო მარტო იმერეთი არისო! *)

*) ვანის წარწერათა და სხვა სიბუოების მიხედვითაკი ვანის მხარე და შირაკი არემარე, სინოხის ქალაქიდან დაწყებული (კაბადოკია) ჩრდილო-კავკასიამდი და მავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე უძველეს დროს ქართველთ მოდგმას სჭერია და მათი კულტურის კვალი დღემდი

თუ ქართველ ერმა ეხლა მაინც არ გაახილა თვალი და ჩვენ ჩვენი მდგომარეობა ვერ შევიგნეთ, უეჭველია ეს მართლაც მალე მოხდება. დღეს რომ სომხობაა თითქმის მეოთხედს (ზოგან მესამედს და მეტსაც) შეადგენს ქართლ-კახ მესხეთიისას. თუ ახლო მომავალში ახალი ტალღაც შეუმჩნეველად შემოგვაპარა, სომხობა რიცხვითაც გადა-

---

დარჩენილა. ირბენის შემწეობით 709 წელს სომხებმა ჩამოგვართვეს ალბანია და ძალად სომხის რჯული მიადებინეს. მართმადიდებელი კათალიკოსი ალბანეთისა ვარაზ-პეტრე და დედოფალი სპრამ აწამეს. მირაბის მოდგმა ალბანელთ მეფეებიც გაასომხეს და ქართველობის კვალი იმ მხარეს მოსპეს. უდინები-და დარჩენილა—ერთი მუჭა ტომი—და ისინაც ჩვენ დროს თითქმის სულ გაასომხეს. ირბენის დროსვე და ცოტა უწინაც სომხებმა ერთი ნაწილი ჩვენების ქვეყნისა დაიჭირეს, გასომხეს; ხოლო 711 წლის ასლო ხანს ტაოში ძალად წაიღეს ტიხე კალმახი, იქ გამაგრდნენ და ქართველებს ჩაეთესნენ, მაგრამ ხანმოკლედ—ძალე გარეკეს იქიდან. შემდეგს დროებმა, სელჩუკების, თათრების (მანგოლების) და ოსმალების ძალიერების დროს დეენილნი სომხება სტუმრად მოდიოდნენ ჩვენს ქვეყანაში და მერე სამუდამოდ აქ რჩებოდნენ.—რადგან ქართველს კაცს ვაჭრობა უკიდურესად დამატირებლად მიაჩნდა, ამის გამო ვაჭრობა მარტო სომხებს და ებრაებს ჩაუგდეს ხელში; ამიტომ **ქალაქებში და დაბებში ყოველგან იყო სომხობა—ურიობა:** სოფლებში კი სომხობამ ფეხი მოიკიდა განსაკუთრებით მეორე ერეკლე მეორეს დროს, რომელიც ოსმალოდან გამოქცეულებს მეფემ შეფარეულობდა და მიწა-წყალს ურიგებდა. ვინც სომხის ისტორიას კარგად დაუკვირდება, ადვილად გამოიცნობს, რომ ძველ სომხების პოლიტიკა ქართველების შესახებ იმავ გზას მისდევდა, რომელსაც ადგას დღევანდელი „სოლოლაკელთა პარტია"—თვალთმაქცურ შეგობრობისას, სხვისის ხელით მოქმედებას, შეუმჩნეველად ნელ-ნელ შემოპარვას, ენით მოფერებას, საქმით ამოთხრას. ხალხმაც შენიშნა: თუ გინდა ოკახი დაიქცეთ, სომეხს მოანთავლინე შაილიო. სომხის ტაქტიკა გასაოცარია: ჩვენის სამეფოს ძალიერების დროს სომეხი სათაევში მოექცეოდა ხოლმე, ხოლო ჩვენი გაჭიანურების ჟამს მტრის ბანაკს აძლიერებს, გზა-კვალს უჩვენებს და ჩვენსავე ბანაკში რჩება ხშირად საიდუმლო აგენტად. ტუუილად კი არ უოქვამთ: სომხის კოჭი მუდამ ალბუზე ჯდებაო. მაგრამ არას დროს სომხის ,,პოლიტიკა'' არ ეოფილა ასე გამარჯვებული როგორც ამ უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში.

აჭარბებს ქართველობას და მაშინ ვინ არის იმის თავდები, რომ მოხერხებულ დროს სომხობამ არ მოისურვებს ქართველებისთვის იმას, რაც ამასწინედ თათრებს მოუნდომეს .. თათრები მომზადებულნი და იარაღიანები აღმოჩნდნენ და სომხობას სასტიკი ანგარიში გაუწიეს, მაგრამ ამას განა შესძლებს ჩვენი დაბეჩავებული გულუბრყვილო და უიარაღო გლეხკაცობა?.. რომის პაპს სომხობამ სისხლის მუქარა მოახსენა ქართულ ტიბიკონისთვის, არ გაუვლია ხანს და მართლაც დაიქცა სისხლი სოფელ ქარელში განთქმულის მებრძოლის ქართული ტიბიკონისას! ჩვენი განსაცდელი დღეს არის... .

თ. ბ. **დავითაშვილი.**

შევჩენკოს ლექსებიდგან

თარგმანი უკრაინულით

ჰკვნესის,ღრიალებს დნეპრი გულ-ფართო,
ძლიერად ჰბერავს სასტიკი ქარი,
ასწლოვან ვერხვებს თავს მიწას უხლის,
მთასაებრ ააქვს ტალღა მძვინვარი.
და მკრთალი მთვარეც შავ-ღრუბლებ რტყმული
ხან მიიმალვის, ხან გამოკრთება,
როგორც ლურჯს ზღვაში ნავი პატარა
ხან ყურყუმელობს, ხან გამოჩნდება.
მესამედ მამალს არ უყივლია,
ჯერ არც სად ისმის კაცის ძახილი,
ჭოტი გასძახის ტყეში თვის სატრფოს,
ხეს ძალას ატანს კვნესა ᲫᲐᲮᲕᲘᲚᲘ.

გ. ნ.

ეროვ. ბიბლიოთ.

დიდებული მგოსნის ასი წლის იუბილეი

წელს, 26 თებერვალს შესრულდა ასი წელი მრავალ-ტანჯული უკრაინის არა ნაკლებ ტანჯული მგოსნის ტარას შევჩენკოს დაბადების დღიდგან.

„როდესაც მოვკვდე დამმარხეთ,
იქ გამითხარეთ სამარე,
სად უკრაინა ველფართობს
დნეპრი ნანას მღერს ცისმარე“

სთქვა მგოსანმა და მისმა მოსიყვარულე ჩამომავლობამაც მართლა დნეპრის მარცხენა მხარეზედ ქ. კანევის ახლოს უკრაინის ერთ ულამაზეს ადგილას გაუთხარა საფლავი ამ თავის მოჭირისუფლე მგოსანს. ლამაზ ადგილას არის ეს საფლავი; ირგვლივ გორაკებით დაფენილ სერზედ, ჭალით შემკულ ხევებსა და ფართოდ გაშლილს ველს შუა მდებარეობს იგი ზედ დნეპრის ნაპირას. საფლავს მიჩენილი ჰყავს ყარაული, იქვეა ორი ოთახი მსურველთათვის ღამის გასათევად. აუარებელი ხალხი მიდის ხოლმე ამ საფლავთან კიევიდგან და სხვა ადგილებიდგან. მეტადრე მოსწავლე ახალგაზრდობა, როგორც კი დნეპრს მოსცილდება ყინული და გემები დაიწყებენ მიმოსვლას, ყოველ კვირა-უქმე დღეობით ასობით მიემგზავრებიან, რომ ამ დიდებული პირის საფლავს თაყვანი სცენ. ჯერ ისევ შორიდანვე მოსჩანს იგი თეთრად და ადამიანის გულს ათასგვარი ფიქრთ-ნაგრძნობით ავსებს.

უკრაინის ხალხს, მის სამშობლოს უყვარს ტარასი შევჩენკო იმიტომ, რომ ოვით ტარასსაც უყვარდა იგი განუზომელი სიყვარულით, თავს ევლებოდა, იზიარებდა მის ჭირ-ვარამს და უზიარებდა თავის ტანჯვის ფიქრებს. ხალხს უყვარს იგი, იმიტომ რომ ტარასი შევჩენკო მთელს თავის სიცოცხლეში მათთვის მებრძოლი, მათთვის ტანჯული იყო, იმიტომ რომ იგი წყნარი სიმღერით აჟღერებდა თავისს ქნარს და მთელი ხალხის გულში ნადებს მწარე ნაღველს ქვეყნიერობასა და ღმერთს გადასცემდა. შარშან შესრულდა 50 წელი ტარას შევჩენკოს სიკვდილის შემდეგ და მაინც კიდევ მთელს უკრაინის ლიტერატურას დღემდის ძლიერი გავლენა ემჩნევა ტარას შევჩენკოს შემოქმედებისა; მისი ლექსები, ხალხურ ლექსებად არის ეხლა ქცეული და ყოველი უკრაინელი დიდის გრძობითა მღერის მას და ეს იმიტომ რომ ტარასი გულის სიღრმემდის ჩასწვდა თავისს მშობელ ხალხს, და იქიდგან ამოკრებილი სევდა-მწუხარების ჰანგები მასვე გაუზიარა. ტარას შევჩენკო მეტად უყვარს უკრაინას, და ეს იმიტომ რომ მან თავისი შემოქმედებითი ნიჭი და სიყვარული მთლიანად თავის ძვირფასს უკრაინას მიუძღვნა; იმიტომ რომ მისი ცხოველი პოეზია ხან ნაზი ეთერივით უალერსებდა მის ცქრიალა ქალწულთ, ტურფა ბულბულად დასტრიალებდა თავს ამწვანებულ ბაღ-ველებს, ხან კი გრიგალივით წამოურ-

ბენდა თავის მოძმეთ, შეაშფოთებდა ქვეყნის ძალ-მომრეობის წინააღმდეგ, აუწყებდა მათს მდგომარეობას, ამაყი არწივივით ზევიდგან დაჰკიოდა მის მტერსა; იმიტომ რომ ტარასი შევჩენკო თავისი სამშობლოს წარსულით გულს იოხებდა, აწმყოთი ნაღვლიანი-ნაღვლიანად იტანჯებოდა და მისი მომავლისაკენ იმედითა ჰქონდა თვალი მიპყრობილი და მარად იღვწოდა მისთვის.

აი ამისთანა მამულიშვილი იყო ტარასი შევჩენკო და იმის დაბადების ასი წლის თავსა დღესასწაულობდა წელს მთელი უკრაინა. მაგრამ არასახელმწიფო ერებს განა უფლება კი აქვთ რუსეთში თავისი ეროვნული დღესასწაული გადაიხადონ? და მით უმეტეს უკრაინას, რომელიც რუსეთში რაღაც ბოშად არის გამოცხადებული. მთელი შავ-ბნელი რუსეთი წინააღუდგა ამ დიდებული კაცის დღესასწაულს. უკრაინელთ აუკრძალეს დღესასწაულის გადახდა. და ამით კვლავ ერთი ზედმეტი შეურაცხყოფა მიაყანეს მათ ეროვნულ თავმოყვარეობას. ასე გასინჯეთ, სამღვდელოებამაც კი უარი უთხრა, რომ ტარას შევჩენკოსთვის პანაშვიდი გადაეხადათ.

ასეთი პასუხი გასცა ოფიციალურმა რუსეთმა ამ უდიდესი მამულიშვილის დღესასწაულს, რომელსაც ასე მოუთმენლად მოელოდა უკრაინა. ტარას, ღრმად უყვარდა თავისი სამშობლო და მშობელი ერი და მის აღორძინებას შეალია თავისი დიადი ნიჭი და ენერგია, და ესევე ძლიერის სიყვარულით უყვარს უკრაინას და მის ერსაც თვით ტარას შევჩენკო. მადლიერი უკრაინას ერი ძეგლს უდგამს ქ. კიევში ტარას შევჩენკოს, და ამ ძეგლისთვის მათ მოკლე ხანში შეჰკრიბეს უკვე 150,000 მანეთამდე.

ახალმოსული

ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘ

Ш. Мѳгилянскій.

თარგმანი უკრაინულიდგან

რკინის გზის პატარა სადგური, ჩვეულებრივ ასე მოწყენილი, ეხლა მატარებლის მოლოდინში გაბრწყინდა, გაელვარდა, თითქოს დიდი ხნის საღათის ძილისაგან გამოფხიზლდაო, და ნაზად გაიღიმა. შემოდგომის დღე მშვიდათ ღამდებოდა, და დასავლეთად დაწეული მზის სხივები გამოსალმების სევდით აფერადებდნენ დედამიწას. იმათ ოქროსფერ სიმებზედ ცელქად ჟღერდა მელანქოლიის ჰანგი აუცილებელი გაყრისა...

პატარა ქალ-ვაჟის ქერა თმები ოქროსფერდებოდა მზის სხივთა ნაბანით. ვაჟის პაწია ხელებს ჩაებღუჯა დიდი სურა ცივი ანკარა წყლით სავსე, პატარა ქალს კი ხელში ჭიქა ეჭირა. მათი ცოცხალი თვალები მატარებლის ფანჯარებში მიმორბოდნენ რაღაც ლოდინითა და იმედით.

— „ცივი წყალი!“

მაგრამ ალბად არავის ესაჭიროებოდა ეს ცივი წყალი და იმედიც თანდათან ჭქრებოდა ამათ თვალებში.

აბა, ერთი ჭიქა წყალი მომაწოდე! შემოესმათ მათ უტეხი ხმა და აი ვაგონის ფანჯარიდგან გამოჩნდა ვიღაც დრაგუნის გაწკეპილ ულვაშიანი წამოჭარხლებული თავი.

პატარა ბიჭმა ხელად გამოართვა გოგოს ჭიქა, წყალით გაავსო იგი. და მიაწოდა. მერე მოტრიალდა და თავის დას თვალებით ჩაუცინა, მანაც გაუგო სიხარულის გრძნობა და თითონაც გაეღიმა: ეხლა ხომ სახლში მამასთან ხელ ცარიელნი აღარ მივლენ!

— მიირთვით ბატონო!

— დიმისხი ერთიც! — გადმოსძახა დრაგუნმა.

ახლა პატარა გოგომ გაავსო წყლით ჭიქა და მიაწოდა.

— მიირთვით ბატონო!

— კიდევ!

ბავშვების თვალებში სიხარულთან გაკვირვებაც გამოკრთა.

— მოიცა, ჩქარა ერთი კიდევ დამისხი, ჩქარა!

დრაგუნის სახე რაღაც უსიამოვნოდ დაიღმიჭა და გაწკეპილმა ულვაშებმა ზევით შეითამაშეს.

— აბა ერთიც!

სიხარულის მაგვრად ბავშვის თვალებში განცვიფრება და გაუგებრობა ღა იხატებოდა.

მატარებელი ნელა იძვროდა.

— ჰა, ჰა, ჰა! იცინოდა დრაგუნი; და ჭიქა მიმავალი მატარებლის ფანჯარიდგან ბავშვების ფეხებთან გადმოისროლა. იგი გატყდა: კარგად ივაჭრეს!.. ბავშვების თვალებში ცრემლები გაბრწყინდა. და კიდევ დიდხანს უცქეროდნენ ეს ცრემლიანი თვალები მიმავალ მატარებელს, რომელსაც სადღაც შორს, უცნობ მხარეს მიჰყავდა უცნობი ხალხი და მათ შორის წამოჭარხლებული სახისა და

ულვაშ-გაწკეპილი დრაგუნიც. იმათ ყურებში კიდევ დიდხანს გაისმოდა მისი ცინიკური სიცილი— ჰა, ჰა, ჰა!..

დაუბერა საღამოს სიომ და ცრემლის მარფალიტები ბავშვების თვალებში ამოაშრო. ნელა და ჩუმად, თავ-ჩაღუნულნი მიდიოდნენ ისინი სახლში. ხოლო გამოუტირალი ცრემლები კი თვალთაგან უხილავ ნაკადად ეწვეთებოდნენ პატარა გულსა და ამ გულებში პირველად იღვიძებდა ეჭვი ადამიანთა სიმართლობაში.

გ. ნამორაძე.

ბიბლიოგრაფია

შოთა რუსთაველი და მისი პოემა.—სიმონ ქვარიანისა

თითქმის ყველა დიდებულ ნაწარმოებისა და უკვდავ გენიოსთა და გამოჩენილ მწერალთა ხვედრია, რამოდენიმე საუკუნის შემდეგ მისი ვინაობის შესახებ, მისი სამშობლოს გამოსარკვევად ატეხილი დავა და კვლევა-ძიება. ყოველივე კუთხე ასეთ დიდებულ, ზეგარდმომადლით ცხებულს პიროვნებას თავისად აცხადებს, ერთმანეთს ეცილებიან, კინკლაობენ და ამასობაში ათასნაირი ლეგენდები, მოსაზრებანი, გამოკვლევანი ჩნდებიან და თანდათან ბურუსით იმოსება ამა თუ იმ პიროვნების ვინაობა. შორს, ისტორიის სიღრმეში რომ არ გადვიხედოთ, ერთი შექსპირის მაგალითიც კი საკმარისია, თუ როგორ შეიძლება უბრალო საქმე გართულდეს. მადლობა ღმერთს, ეს ინგლისის გენიოსი არც ისე ძველ დროს სცხოვრობდა, მეთექვსმეტე საუკუნეში ინგლისი საკმაოდ მომწიფებული იყო კულტურით და განათლებით, მაგრამ აღმოჩნდა—იქაც შესაძლებელი ყოფილა ჩვენი დროის გამოცანად გადაქცეულიყო ეს ბუმბერაზი ადამიანი. შრომა დაიხარჯა, რამდენი შესანიშნავი თხზულება დაიწერა და მაინც საბოლოოდ გადაწყვეტილად არ ჩაითვლება ვის ეკუთვნიან ის გენიალური ნაწარმოებნი, რომლითაც ჩვენ უბრალო მკითხველნი შექსპირის ქმნილებადა ვთვლით, შექსპირს თუ ბეკონს, მის თანამედროვე ფილოსოფოსს, ან კიდევ სხვას ვისმე.

თითქმის ასეთივე ბედი ეწვია, ჩვენს ალ. ყაზბეგსაც და იმედია, რაც დრო გავა, მით უფრო გაიზრდება ეს ლეგენდა და ჩვენი შთამომავალნი ერთს ვაი ვაგლახში იქნებიან ყაზბეგის ნაწარმოებნი თვით ალექსანდრეს ეკუთვნიან თუ მისს ბიძაშვილს.

ასეთივე ლეგენდები ჰფარავს ჩვენს უკვდავს გენიოსს და მისს პოემას. თეიმურაზ მეფის შემდეგ, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში სცხოვრობდა, დაიწყო კვლევა ვეფხის ტყაოსნისა და მისი დამწერის პიროვნებისა. შემდეგ არჩილ მეფე, ანტონ კათოლიკოსი, დომენტი მიტროპოლიტი და ჩვენი დროის ისტორიკოსნი და მეცნიერნი უკლებლივ გამუდლებულ ცდაში არიან ნათელი მოჰფინონ ამ საკითხს. ამ პოემის იდეურ თუ სხვა ნიადაგზე აღმოცენებულ მოწინააღმდეგეთა წყალობით და მეცნიერული სიმართლის ძიების სურვილით და მოთხოვნილებით, გამოსარკვევი და საეჭვო გახდა, არა თუ ავტორის პიროვნება, ეპოქაც, ორიგინალობაც, ისტორიაც და ყოველივე.

აი ამ ნიადაგზე, ე. ი. ამ საკითხთა კვლევის ნიადაგზე სდგას ზემოდ დასახელებული წიგნაკიც. ავტორი გვპირდება წარმოგვიდგინოს ამ საკითხის შესახებ „სრულიად ახალი შეხედულება“.

ავტორი უმთავრესად ეხება სამ საკითხს: ეპქოქას, როდესაც დაიწერა „ვეფხის ტყაოსანი“, ვინ იყო შოთა და „რა უდევს დედა აზრად სიუჟეტად ამ უკვდავ პოემას“.

ავტორს შეურყეველ სინამდვილედ მიაჩნია, რომ ეს პოემა დაწერილია მეთორმეტე საუკუნეში, დიდი თამარ-მეფის დროს. ამ აზრს ადგას ყველა მკვლევარი ჩვენ დრომდი და ამ უკანასკნელ დროებში ეჭვი შეიტანა ამაში მხოლოდ ახალგაზრდა მკვლევარმა ს. კაკაბაძემ. იგი ამტკიცებს რომ ეს პოემა დაწერილია არა უადრეს მეთოთხმეტე საუკუნისა და დაწერილია არა დიდი თამარისთვის, არამედ ვიღაც სხვა თამარისთვის, რომლის სახელი ჯერ უცნობია ჩვენს ისტორიაშიო. მალე გამოვა „ვეფხის ტყაოსანი“ ს. კაკაბაძის და ამ პოემის ცნობილი მკვლევარის ი. აბულაძის რედაქციით ორივეს წინასიტყვაობით და მაშინ დაახლოვებით გავეცნობით მათ აზრებსაც. რაც შეეხება შოთას გვარს, ს. ქვარიანი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ასახელებს გიორგი მე III ძმის წულის დემნას მომხრე შოთა ართავაჩოს ძეს, რომელსაც უნდა აეწეროს ამ ტახტის მაძიებელის ტრაგიკული ბედი.

სიუჟეტადაც ბ. ქვარიანი ასახელებს ამავე პრინცის თავგადასავალს. რომელსაც ავტორის მოსაზრებით უნდა ჰყვარებოდეს მისი ბიძაშვილი თამარი გიორგი მე III ქალი. მართლადაც, უნდა ვაღიაროთ, რომ დიდი მზგავსებაა და ლოგიკურადაც

მწყობრად დალაგებული აქვს ავტორს პოემისა და დემნას თავგადასავალის მსგავსება, მაგრამ ავტორი იძულებულია მხოლოდ სუბიექტიურს ნიადაგს დაემყაროს, რადგანაც ჯერ არ მოგვეპოება ისეთი ისტორიული მასალები, რომელნიც უმეშვეოდ გვიმტკიცებდნენ ამ მოსაზრებას. არც ჩვენს მატიანეში და არც სიტყვიერების ისტორიაში არ მოგვეძევა ჯერ-ჯერობით ნამდვილი მასალები, რომელთა მიხედვით შეგვეძლოს დანამდვილებით რისამე თქმა და ამიტომ იძულებული ვართ ყველა არსებულ მოსაზრებად და ბ. ქვარიანის გამოკვლევასაც ჰიპოტეზა უწოდოთ; ვიმეორებთ, ბ. ქვარიანის გამოკვლევა შეიძლება ჭეშმარიტი და ლოგიკურად უზიანო იყოს. მაგრამ ჯერ მაინც შესაძლებელია არა ნაკლებ ლოგიკური და საღ მსჯელობასთან დაახლოებული გამოკვლევაც გვიძღვნას რომელიმე მკვლევარმა, რადგანაც პირდაპირა ცნობები არ მოგვეძებნება ამ პოემის შესახებ.

ჯერ კიდევ დიდი შრომაა საჭირო და შეიძლება დიდი დროც, რომ გადაწყვეტით რისამე თქმა შეეიძლოთ.

ჩვენი აზრით საჭიროა, ისტორიულ უქონლობის გამო, თვით ტექსტის კვლევას მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება.

1). დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრით პოემის ლექსიურს მხარეს. უნდა ჩვენმა ლინგვისტებმა, იმის გარდა რომ გამოიკვლიონ სპარსულია, არაბული თუ ნამდვილი ქართულა ესა თუ ის სიტყვა, აგრედვე გამოიკვლიონ ისტორია უმთავრეს ტერმინებისა და სიტყვებისა. უნდა გამოკვლეულ იქმნას როდის, რომელ საუკუნიდან შემოდის ხმარებაში ქართულ მწერლობაში ესა თუ ის სიტყვა და ეს ხელს შეუწყობს პოემის ეპოქის გამოკვლევას.

2). უნდა ზედმიწევნით შესწავლულ იქმნას ზნე ჩვეულებანი, კოსმოგონია, სოფლმხედველობა და სოციალური სტრუქტურა როგორც პოემისა და რეალური საქართველოსი ვთქვათ მეთორმეტე საუკუნეში, აგრედვე იმ ქვეყნებისაც, რომელთა ზედგავლენაც ეტყობა პოემას; ეს ჩვენ დაგვანახვებს რამდენად ქართულია ეს ნაწარმოები და რამდენად „თარგმანი“.

3). უნდა შევისწავლოთ პოემის გმირთა ხასიათები და შევადაროთ იმ დროინდელ ქართველობას, რამდენადაც ნაშთნი იმ დროისანი ამის საშუალებას გვაძლევენ, აქ ჩვენ დავინახავთ, რა სჭარბობს ამ ხასიათებში ქართველობა თუ სპარსობა, თუ ინდოელობა. მართალია ბ. ქვარიანი, როდესაც იგი ამბობს, რომ მე XII საუკუნეში ტიპების ხატვა შეუძლებელი იყოვო, მაგრამ ამავე დროს შეუძლებელი იყო მწერალს ასეთი გამონაკვთილი, ასეთი ცოცხალი სურათები როგორც ავთანდილი, ტარიელი, როსტევანი, ასმათი, ფრიდონი და სხ. ისე უმაგალითოდ დაეხატოს.

4). უნდა შევისწავლოთ რაინდობისა და ქალის კულტი პოემისა და ისტორიულად შევადაროთ, როდის შეიძლებოდა საქართველოში ასეთი კულტის შემუშავება. ამ მხრით ძვირფასია აკად. მარის გამოკვლევა, მაგრამ სამწუხაროდ იგი არ ეხება საკითხის მეორე ნაწილს: როდის, რომელ საუკუნოებში შემუშავდა იგი. ეს კვლევაც დაგვანახვებს ჩვენ რამდენად ქართულ ნიადაგზე სდგას პოეტი.

5). შემდეგ უნდა შესწავლულ იქნას ყველა არსებული ვარიანტი და ამით გაიწმინდოს პოემა შემდეგი მეტხორცებისაგან და სხ. და სხ. ამ მხრით, რამდენადაც ვიცით, საყურადღებო იქნება ი. აბულაძესი და ს. კაკაბაძის გამოცემა.

ერთი სიტყვით, დიდი შრომაა საჭირო და ყოველი ისეთი ნაბიჯი, როგორც მაგ. წიგნაკი ს. ქვარიანისა ღირს შესანიშნავია.

ს. და—ნი.

ღია წერილი ბ. X-ს

მოწყალეო ხელმწიფევ!

ჩვენ წინააღმდეგ მომართულს თქვენ წერილში, რომელიც მოთავსებული იყო „სიმართლის ხმის“ 35 №-ში 1.3 ამა თებერვლიდგან, არსებითად, დასაბუთებულად და დალაგებულად ვერა სთქვით რა. მხოლოდ კიდევ უფრო დაუსაბუთებლად ცალიერისა და ლიტონის სიტყვით გაიმეორეთ ბრალდების ყველა ის მუხლი, რის დამტკიცებასაც ჩვენ გთხოვდით.

ჩვენ მოვითხოვთ თქვენგან ზნეობრივი წესრიგის ძალით გაზეთისავე საშუალებითსათითაოდ დაასაბუთოთ და დაამტკიცოთ ჩვენ წინააღმდეგ თქვენ მიერ წამოყენებულ ბრალდებათა ყოველი მუხლი და განსაკუთრებით შემდეგი:

ა) რომ თითქო ჩვენ შევაყენეთ რაზმი ქალაქის საქმეების უცოდინარ პირთაგან და მოვახდინეთ თავდასხმა ხმოსნებზე ქუჩებში და სახლში, არ მივეცით მოსვენება, ჯარი მივუსიეთ და სხვ.

ბ) რომ თითქოს გუბერნატორს მივმართეთ თხოვნით ახალი არჩევნების დასანიშნავად.

ვ) რომ თითქო ერთ დროს გაზეთის თანამშრომელთა გადასასახლებლად „პრიგოვორსაც“ ვადგენდით.

გ) რომ თითქო ფსევდონიმს ამოფარებულთა გასაგებად „სიშჩიკობა“ გავმართეთ.

დ) რომ თითქო ნაცნობ კორესპოდენტებს უშვერი ლანძღვა-გინებით ვისტუმრებდით და ზოგიც გავლახეთ.

ე) რომ თითქო ტეროორი გამოვაცხადეთ და მთავარი რაზმელების დახმარებით ოპოზიციონერი ხმოსნების დასარბევად მოვუწოდეთ წინდაწინ დამზადებულ ჯარს.

თუ ეს გაზეთის საშუალებით არ მოგიხდენიათ, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით სხვა გზასა და საშუალებას მივმართოთ.

ხელს ვაწერთ კონსტანტინე დავითის ძე გაბუნია, ერმალო ელიზბარის ძე ბოლქვაძე, დიმიტრი ვახტას ძე ცეკვაშვილი, ზოსიმე მიხეილის ძე გვალია და კონსტანტინე იაგორის ძე რუხაძე.

რედაქციისაგან

ხელის მომწერთ ვისაც ჟურნალი არ მისდის უმორჩილესად ვთხოვთ დაუყონებლივ აცნობონ რედაქციას ზომების მისაღებად.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

1894 წლიდან **1914** წლამდის

საუკეთესო ღვინოდ ითვლება ღვინო

საზოგადოება „კ ა ხ ე თ ი“-სა

ტელეფონი:
№ 73 და 3—51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63
და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში, მოსკოვში, ბათომში, რასტოვში და სხ.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა 5.